წერილის ნომერი: **18-0124152436**
თარიღი: **31/05/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01241481283
წერილის თარიღი:	27/05/2024
განმცხადებელი:	ია ჩეხერია
განაცხადის N	AR11035643
მისამართი	ქ. თბილისი, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა #3
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.17.008.031
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე); I კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	სამსახურის პოზიციის დაფიქსირება მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ინდუსტრიული ქალაქი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1) გამწვანებული ტერიტორიები საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ტოპო.გეგმა
დასკვნა: უარი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) პირველი მუხლის „ა. თ“, ,,ბ“ ქვეპუნქტები; დადგენილების 68-ე მუხლი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის

შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლები.

სამსახურის პოზიცია:

მოგახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის გათვალისწინებით, საპროექტოდ შემოთავაზებულ სპორტული მოედნის მოწყობის ადგილზე ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი. თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიების დაგეგმარების რუკაა, რომელზეც დატანილია მონაცემები ქალაქის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი მწვანე ან/და სარეკრეაციო ზონებისა და არეალების შესახებ. **აქედან გამომდინარე, სამსახურს იმ საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება, რომელზეც ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი, ასევე, მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა დაუშვებლად მიაჩნია.**

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი